# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 298

„18" ოქტომბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. №15-ში მდებარე ფართების (ს/კ: №01.18.03.072.064.01.500; №01.18.03.072.064.01.504, №01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. №15-ში მდებარე ფართების (ს/კ: №01.18.03.072.064.01.500; №01.18.03.072.064.01.504, №01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №19.1084.1377 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. №15-ის 1 სართულზე არსებული 153.69 კვ.მ. ფართის, მე-2 სართულზე არსებული 68.56 კვ.მ. მდებარე ფართის, მე-3 სართულზე არსებული 173.42 კვ.მ. ფართის (ს/კ: №01.18.03.072.064.01.500; №01.18.03.072.064.01.504, №01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ვენერა ალიშევას (დაბ. 08/04/1967; 033108673) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში მდებარე 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.16.004.254) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე